დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო ხაჩიძე

წევრი:

ნანა მონიავა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 400023595

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☒ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

II. საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 13 სექტემბრის N1067992 ბრძანებით, შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას ახალი ფართის ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ე) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ე.ა) და ე.ბ) კომპონენტების შემოწმების მიზნით, არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელება.

მონიტორინგის განხორციელების მიზნით, ცენტრის დირექტორის ბრძანებით შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა დღის წესრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებულ იქნა დაწესებულების ადმინისტრაციასთან. მიმდინარე წლის 21 სექტემბერს, არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა დაწესებულებაში (ქ. თბილისი, თ. ერისთავის ქ. N 2).

დღის წესრიგის შესაბამისად განხორციელდა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება; სტანდარტის 5.1 და 5.2 კომპონენტთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასება და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება; შეხვედრის ფარგლებში, ეტაპობრივად ხორციელდებოდა მიგნებების გაცნობა დაწესებულების წარმომადგენლებთან. ვიზიტის ბოლოს, შეჯამებული სახით, დაწესებულების წარმომადგენლებს მიეწოდა ინფორმაცია ძირითადი მიგნებების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

III. ავტორიზაციის მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	-	შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	-	შეესაბამება

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საუკეთესო გამოცდილების მაგალითები არ დაფიქსირებულა.

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

ვიზიტისას შეფასდა, მონიტორინგისას შესაფასებელი სტანდარტის კომპონენტის ფარგლებში, გაცემული რეკომენდაციების შესრულება.

შესაბამისობის რეკომენდაცია:

„5.1.2.3. კოლეჯმა უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება-შეთანხმება კომპეტენტურ ორგანოსთან დირექტორის 2022 წლის 19 მაისის N146 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, რომლის შესრულების ვადაც განსაზღვრულია 23.05.2022 – 23.08.2022 (3 თვე).“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულებას საგანგებო-სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული აქვს კომპეტენტურ ორგანოსთან.

განმავითარებელი რეკომენდაცია:
„5.1.1.2. ექსპერტთა მოსაზრებით სასურველია ჩანაწერს იმასთან დაკავშირებით, რომ მატერიალური რესურსით სარგებლობის უფლების გაცემა შესაძლებელია მხოლოდ დირექტორის თანხმობის შემთხვევაში, დაემატოს სხვა პასუხისმგებელი პირიც, რომელსაც დირექტორის არ ყოფნის შემთხვევაში უფლება ექნება საჭიროების შემთხვევაში გასცეს თანხმობა, რესურსით სარგებლობის შესახებ. ვთვლით ასეთი ჩანაწერი უფრო მოქნილს გახდის პროცესს.“
დაწესებულებამ გაითვალისწინა გაცემული რეკომენდაცია და დირექტორის ბრძანებით ცვლილება შეიტანა შინაგანაწესში.

VI. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

სტანდარტთან მიმართებით ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

VII.სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა.

VIII. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

IX. სტანდარტების შეფასება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების გათვალისწინებით, დაწესებულებაში ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას ახალდამატებული ფართის ავტორიზაციის სტანდარტთან მიმართებით შეფასება. საჯარო რეესტრის ამონაწერით ირკვევა, რომ ახალდამატებული ფართი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

მდებარეობს ქ. თბილისში, თორნიკე ერისთავის ქ. N2-ში, მეოთხე სართულზე (ს/კ 01.12.12.001.026), რომელიც იჯარით აქვს აღებული შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „გეორგია“-სგან (ს/კ 204859534 - ფართი 172.00 კვ.მ) და ფიზიკური პირისგან [redacted] - ფართი 343.5 კვ.მ). იჯარის ხელშეკრულებებით განსაზღვრულია, რომ მოიჯარეს უფლება აქვს იჯარის ობიექტით სარგებლობისას იჯარის ობიექტი გამოიყენოს სასწავლო პროცესის წარმართვისთვის და ასევე, მეიჯარესთან შეთანხმებით ჩაატაროს სარემონტო (მიმდინარე, კოსმეტიკური) სამუშაოები. იჯარის ხელშეკრულებებთან ერთად წარმოდგენილია, მიმდინარე წლის 26 აგვისტოს შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „გეორგია“-სთან გაფორმებული ინვენტარისა და აღჭურვილობის ქირავნობის ხელშეკრულება, რომლითაც „გამქირავებელი“ „დამქირავებელს“ დროებით სარგებლობაში/ მფლობელობაში გადასცემს „გამქირავებლის“ საკუთრებაში არსებულ ინვენტარს/აღჭურვილობას. ხელშეკრულებას დანართის სახით ახლავს ინვენტარი/აღჭურვილობის ჩამონათვალი. ქირავნობის და იჯარის ხელშეკრულებები მოქმედია 2028 წლის 1 აგვისტომდე. გამომდინარე იქიდან, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას ავტორიზაციის შესახებ ძალაში შევიდა 2022 წლის 4 აგვისტოდან და დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი მიენიჭა 6 წლის ვადით, დაწესებულების საქმიანობა (ახალდამატებული ფართის ფარგლებში) უზრუნველყოფილი არ იყო შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით. ვიზიტის ფარგლებში, დაწესებულებამ ცვლილება შეიტანა იჯარის და ქირავნობის ხელშეკრულებებში და ხელშეკრულებების მოქმედების ვადად განსაზღვრა 2028 წლის 31 დეკემბერი (დანართი 2). საჯარო რეესტრის ამონაწერითაც საბოლოო თარიღად განსაზღვრულია 31.12.2028 წელი. შესაბამისად, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

დაწესებულებამ წარმოადგინა შიდა აზომვითი ნახაზი, რომელითაც ირკვევა, რომ ახალდამატებული ფართი მოიცავს 18 სხვადასხვა ზომის ოთახს/აუდიტორიას. ვიზუალური დათვალიერებით და შიდა აზომვითი ნახაზით დასტურდება შემდეგი სივრცეების/ფართების ფლობა: ამ ეტაპზე სასწავლო აუდიტორიებად გათვალისწინებულია 6 ოთახი (მათ შორის 2AC, 2C, 1A და 1B გარემო), ადმინისტრაციისთვის 2 ოთახი, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის 1 ოთახი და 1 ოთახი არქივისთვის. ასევე, ფართი მოიცავს პროფესიული სტუდენტებისთვის სივრცეს. ამ ეტაპზე, კოლეჯს არ განუსაზღვრავს დროებით მის მფლობელობაში/სარგებლობაში არსებული სხვა აუდიტორიების/ოთახების მიზნობრიობა/საჭიროება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის, რაც დარეგულირებულია დირექტორის 2022 წლის 11 იანვრის N6 ბრძანებით (ბოლო ცვლილება შესულია დირექტორის 2022 წლის 16 სექტემბრის N335 ბრძანებით) დამტკიცებული შინაგანაწესის 37-ე მუხლით. რეგულაციით გაწერილია, რომ პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს, პერსონალს გარდა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშულებებით სარგებლობის უფლება აქვს კოლეჯის დირექტორის ან მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერის თანხმობის შემთხვევაში, რისთვისაც პროფესიულმა სტუდენტმა/მსმენელმა, პერსონალმა ან საინიციატივო ჯგუფმა განცხადებით უნდა მიმართოს დირექტორს. პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე, პერსონალზე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობაზე თანხმობა გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ხელს არ შეუშლის სასწავლო ან/და მუშაობის პროცესს და გამოყენების მიზნობრიობიდან გამომდინარე, არ გამოიწვევს მათ შესაძლო დაზიანებას ან არამიზნობრივ გამოყენებას. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი, პერსონალი მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერისგან იბარებს მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებს და პირადად ხდება პასუხისმგებელი მის დაცულობაზე.

მიმდინარე წელს განხორციელებული კვლევის შედეგებით დასტურდება, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის

3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. დირექტორის 2022 წლის 11 იანვრის N2 ბრძანებით, რომელშიც ბოლო ცვლილება შესულია მიმდინარე წლის 16 სექტემბერს N335 ბრძანებით, დამტკიცებულია სტრუქტურული ერთეულების დებულება, რომლითაც ირკვევა, რომ დამლაგებელი წარმოადგენს დამხმარე პერსონალს და პასუხისმგებელია კოლეჯის შენობის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის უზრუნველყოფასა და დასუფთავებაზე. დამლაგებელი თავის საქმიანობას წარმართავს კოლეჯის ,,სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფისა და დასუფთავების წესი''-ს შესაბამისად. მიმდინარე წლის 11 იანვარს, განუსაზღვრელი ვადით დამლაგებელთან გაფორმებულია ხელშეკრულება.

დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული სივრცეების, მათ შორის სასწავლო და სამუშაო სივრცეების დასუფთავება დასტურდება ვიზუალური დათვალიერებითაც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, რაც დასტურდება ვიზუალური დათვალიერებით. ასევე, იჯარის ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულია, რომ მეიჯარე თავად უზრუნველყოფს გაზის გადასახადის გადახდას.

5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები. უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შესაქმნელად დაწესებულებაში შემუშავებულია კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, დაწესებულებას ჰყავს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტრუქტურული ერთეულების დებულებით გაწერილი ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად უზრუნველყოფს კოლეჯის ბალანსზე არსებული შენობა–ნაგებობების, ცალკეული სათავსოების, ოთახების, კორიდორების, კოლეჯის მიმდებარე პერიმეტრის უსაფრთხოებას, ცეცხლმაქრების საექსპლუატაციო ვარგისიანობას, ელექტრომომარაგების, ელექტროგაყვანილობის უსაფრთხო მუშაობას. ასევე, უზრუნველყოფს საევაკუაციო გზებისა და გასასვლელების მდგომარეობის, გადარჩენის ინდივიდუალური და ჯგუფური საშუალებების არსებობასა და გამართულობას, ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის (სახანძრო ონკანების, ცეცხლმაქრების და სხვა ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების) მუდმივად გამართულ მდგომარეობაში არსებობას და კანონმდებლობით განსაზღვრული ტრენინგების და სწავლების ჩატარებას.

6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები. დირექტორის 2022 წლის 11 იანვრის N6 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება, რომლის 40-ე მუხლით განსაზღვრულია სასწავლო მიზნებისათვის საჭირო მასალა-ნედლეულის განსაზღვრის, შეძენის, მოთხოვნის და შენახვის პროცედურები.

პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების რაოდენობის, პროგრამაში შემავალი მოდულების მასალა-ნედლეულისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის გათვალისწინებით, სწავლებისათვის საჭირო მასალა-ნედლეულის ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროგრამის ხელმძღვანელი ადგენს მასალა-ნედლეულის მოთხოვნის ფორმას, რომელსაც წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. მასალა-ნედლეულის შეძენას უზრუნველყოფს ფინანსური სამსახურის წარმომადგენელი. მასალა-ნედლეულის შეძენისას მხედველობაში მიიღება მათი ვარგისიანობის ვადა მათი გამოყენების მომენტისათვის. მასალა-ნედლეულის შენახვა ხორციელდება კოლეჯში სპეციალურად გამოყოფილ ადგილას. მოდულის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

განხორციელების დაწყებამდე ორი კვირით ადრე, პროფესიული განათლების მასწავლებელის მიერ ხდება მოდულით განსაზღვრული მასალა-ნედლეულის მოთხოვნა, ხოლო შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის მიერ მათი გადაცემა მიღება-ჩაბარების აქტით. მოდულის დასრულებისას პროფესიული განათლების მასწავლებელის მიერ ხდება გახარჯული მასალა-ნედლეულის შესახებ ანგარიშგება და საჭიროების შემთხვევაში უკან დაბრუნება პროგრამის ხელმძღვანელისთვის. თუ მოდული ხორციელდება კონტრაქტორ დაწესებულებაში, კოლეჯი მასალა-ნედლეულის შეძენას ამ მოდულის ფარგლებში არ ახორციელებს.

ექსპერტების მხრიდან გადამოწმდა მიმდინარე პროცესები, როგორც მასალა-ნედლეულის მოთხოვნის, ასევე შეძენის და სასწავლო პროცესში გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, განხორციელდა გასაუბრება შესაბამის პირებთან და დადასტურდა, რომ დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმები.

7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას. დირექტორის 2020 წლის 15 ივნისის N17 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები (ბოლო ცვლილება შესულია დირექტორის 2022 წლის 2 თებერვლის N38 ბრძანებით), რომელიც მატერიალური რესურსების შეფასების კუთხით ითვალისწინებს დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და გადახედვის ეტაპებს. ამ მიზნით შემუშავებულია კითხვარის ფორმები, რომლითაც დგინდება რესურსების არსებობა, საკმარისობა და ეფექტიანობა. კითხვარების ანალიზის და შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუირებით დგინდება წლების განმავლობაში მატერიალური და ინფრასტრუქტურული რესურსების განვითარების პროცესი.

8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ პროფესიული სტუდენტებისთვის. მათში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. აღნიშნული დასტურდება ვიზუალური დათვალიერებით.

9. ყველა სასწავლო ფართს, მათ შორის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთის განკუთვნილ ოთახებს აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვას. კოლეჯის ყველა სივრცე დამოუკიდებელია და ისეა განლაგებული, რომ ხელს უწყობს საგანმანათლებლო და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურ წარმართვას, რამდენადაც ყველა პროგრამისთვის თუ ადმინისტრაციისთვის გამოყოფილია ინდივიდუალური აუდიტორია/ოთახი.

11. ადმინისტრაციული წარმოებიდან გამომდინარე, მომხმარებლისთვის პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსის შეფასება შეუძლებელია, რადგან კოლეჯს ახალდამატებული, შენობის მე-4 სართულის ფართში განთავსებული არ აქვს ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკა განთავსებულია შენობის მესამე სართულზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით;
- დაინტერესებულ პირებთან გასაუბრების შედეგებით;
- იჯარის ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით;
- სტრუქტურული ერთეულების დებულებით;
- გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- საჯარო რეესტრიდან ამონაწერით;
- ვიზიალური დათვალიერებით;
- აზომვითი ნახაზით;
- შინაგანაწესით.

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება.

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს წერილი (02.09.2022 – MIA62202446551), რომლითაც ირკვევა, რომ შემოწმდა ქ. თბილისში, თ. ერისთავის ქ. N2-ში მდებარე შენობა-ნაგებობა სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად და შესაბამისი წინადადგებების მოსამზადებლად. სახანძრო-ტექნიკური შემოწმების საფუძველზე შედგენილი N143 აქტით დგინდება, რომ თ. ერისთავის ქ. N2-ში მდებარე (ს/კ 01.12.001.026), შპს „საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა“-ს (ს/ნ 400023595) ოთხ სართულიანი შენობის მე-4 სართულის (ადმინისტრაციული კორპუსი N2) ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს.

სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტით ირკვევა, რომ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370-ე დადგენილების ტექნიკური რეგლამენტის „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“ მოთხოვნების შესაბამისად:

- ობიექტის თანამშრომლებს გავლილი აქვთ სწავლება სახანძრო უსაფრთხოების წესების შესახებ, ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის ჩატარების გზით;
- ობიექტზე დანიშნულია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი;
- შემუშავებულია ინსტრუქციები „სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესახებ“;
- შემუშავებულია ხანძრის პირობებში ევაკუაციის უზრუნველყოფისათვის პერსონალის მოქმედების ინსტრუქციები;
- შენობის საევაკუაციო გზებზე/გასასვლელებში და ცეცხლმაქრების განთავსების ადგილას გამოკრულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის ერთიანი სატელეფონო ნომერი „112“.

- ობიექტზე დამონტაჟებულია ზონური ტიპის სახანძრო სიგნალიზაცია, კვამლზე მორეაგირე დეტექტორებითა და საევაკუაციო გასასვლელებში ხელის სახანძრო ღილაკების მოწყობით. სახანძრო სიგნალიზაციის მართვის პანელი აყვანილია 24 საათიანი მეთვალყურეობის ქვეშ.

გამომდინარე იქიდან, რომ საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას იჯარის ხელშეკრულებებით კოლეჯი „გეორგია“-სგან და ფიზიკური პირისგან (გიორგი ბერაია) დროებით სარგებლობაში/მფლობელობაში გადაცემული აქვს ქ. თბილისში, თორნიკე ერისთავის ქ. N2-ში, მეოთხე სართულზე არსებული ფართი, დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შპს „საინჟირნო ნაგებობათა დაპროექტების, კვლევის და ექსპერტიზის სამეცნიერო ცენტრის“ მიერ გაცეული საექსპერტო დასკვნა, რომლითაც დგინდება, რომ ქ. თბილისში, თორნიკე ერისთავის ქ. N2-ში (ს/კ 01.12.12.001.026) მდებარე სამსართულიანი შენობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მას არ გააჩნია ჯდენითი ან სხვა რაიმე მიზეზით გამოწვეული დეფორმაციის ნიშნები, რომლებიც უარყოფით გავლენას მოახდენდა მისი კონსტრუქციების მდგრადობაზე. ამავე დასკვნით ირკვევა, რომ კოლეჯი „გეორგია“-ს მიერ დაკავებული მესამე სართულის მთლიანი ფართი აკმაყოფილებს სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებს. კედლებზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმა და დამონტაჟებულია ცეცხლმაქრი მოწყობილობა. საჯარო რეესტრიდან ამონაწერით ირკვევა, რომ კოლეჯი „გეორგია“ მდებარეობს ქ. თბილისში, თორნიკე ერისთავის ქ. N2-ში (ს/კ 01.12.12.001.026) მეოთხე სართულზე. გამომდინარე იქიდან, რომ დასკვნასა და საჯარო რეესტრის ამონაწერში საკადასტრო კოდები ემთხვევა ერთმანეთს, საექსპერტო დასკვნაში გაპარულია ტექნიკური ხარვეზი კოლეჯის მდებარეობასთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები.

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. კერძოდ, დირექტორის 2020 წლის 28 ივნისის N21 ბრძანებით, რომელშიც ბოლო ცვლილება შესულია დირექტორის 2022 წლის 2 თებერვლის N38 ბრძანებით დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის წესი. კოლეჯში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი ზომების გატარებას უზრუნველყოფს ორი ექთანი. კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის და პერსონალისთვის თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია კოლეჯის ექიმის/ექთნის საკონტაქტო ნომერი. სატელეფონო შეტყობინებას პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შეუძლოდ ყოფნის თაობაზე ახორციელებს აუდიტორიაში მყოფი პროფესიული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

მასწავლებელი ან მისი დავალებით რომელიმე პროფესიული სტუდენტი/მსმენელი. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის საჭიროებისას, რომელიც სცილდება კოლეჯის ექიმის/ექთნის შესაძლებლობებს, მის მიერ გამოძახებული იქნება სასწრაფო სამედიცინო დახმარება. შიდა რეგულაციით განსაზღვრულია, რომ ექიმი/ექთანი უფლებამოსილია:

- კოლეჯის დირექტორს მოსთხოვოს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი სამედიცინო ინვენტარის და მასალის შეძენა (წნევის საზომი აპარატი, თერმომეტრი, ბამბა, ბინტი, ანტისეპტიკური საშუალებები, პირადი ჰიგიენის ნივთები).
- აკონტროლოს სამედიცინო ინვენტარის ვარგისიანობა, მათი ხარისხი, შენახვა და გაცემა.

დაწესებულების მიერ მიმდინარე წლის 11 იანვარს ორ პირთან გაფორმებულია ხელშეკრულება პირველადი გადაუდებელი დახმარების ექიმის პოზიციაზე. ხელშეკრულებები დადებულია განუსაზღვრელი ვადით. საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა მდებარეობს ორ შენობაში და ისინი თითოეულ შენობაში განთავსებულ ფართში უზრუნველყოფენ პირველად გადაუდებელ დახმარებას. ექიმის/ექთნის კაბინეტი განთავსებული არ არის ახალდამატებულ ფართში, თუმცა განთავსებულია იმავე შენობის სხვა სართულზე.

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის წერილი, რომლითაც ირკვევა, რომ მათ მიერ განხილულ იქნა კოლეჯის მიერ შესათანხმებლად წარდგენილი შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას საგანგებო მართვის გეგმა. აღნიშნული გეგმა შეესაბამება „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის N452 დადგენილებით დამტკიცებული წესების მოთხოვნებს და შეთანხმებულ იქნა სამსახურის მიერ (წერილი - 09.06.2022 / MIA82201547660). კოლეჯის დირექტორის ბრძანებით ასევე დამტკიცებულია საგანგებო შტაბის წევრების შეტყობინების სქემა.

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტრუქტურული ერთეულების დებულებით უსაფრთხოების სამსახური წარმოადგენს სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის, პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისა და კოლეჯის ტერიტორიაზე მყოფი პირების - ვიზიტორების უსაფრთხოების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

შრომის უსაფრთხოების (კოლეჯის პერსონალის შემთხვევაში), ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების და პირველადი გადაუდებელი დახმარების უზრუნველყოფის მექანიზმებს.

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესის 35-ე მუხლით დარეგულირებულია პროფესიული სტუდენტების/ მსმენელების ქცევის წესები. კოლეჯის ტერიტორიაზე დადგენილი ქცევის წესების დარღვევის შემთხვევაში შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ვალდებულია მიიღოს საჭირო ზომები დამრღვევის მიმართ, ხოლო თუ ქმედება შეიცავს ადმინისტრაციული გადაცდომისა და დანაშაულის ნიშნებს, გამოიძახოს საპატრულო პოლიცია შესაბამისი რეაგირებისთვის.

შენობა-ნაგებობის მთლიან პერმეტრზე (გარდა ადმინისტრაციული და სასწავლო კაბინეტებისა, სანიტარული კვანძებისა და დამხმარე სათავსოებისა) დამონტაჟებულია ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერების სისტემა. იმ სივრცეში, სადაც მიმდინარეობს ვიდეოთვალთვალი, აღნიშნულის თაობაზე განთავსებულია გამაფრთხილებელი წარწერები. დაწესებულების მიერ ასევე წარმოდგენილია იჯარის ხელშეკრულების დანართი, რომლითაც ირკვევა, რომ მეიჯარე თავად უზრუნველყოფს იჯარის ობიექტზე დაცვის პოლიციასთან ხელშეკრულების გაფორმებას/ვადის გაგრძელებას, უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს წერილით (02.09.2022 – MIA62202446551);
- შპს „საინჟირნო ნაგებობათა დაპროეტების, კვლევის და ექსპერტიზის სამეცნიერო ცენტრის“ მიერ გაცემული საექსპერტო დასკვნით;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის წერილით (09.06.2022 - MIA82201547660);
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის წესით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- საგანგებო შტაბის წევრების შეტყობინების სქემით;
- სტრუქტურული ერთეულების დებულებით;
- პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით;
- იჯარის ხელშეკრულების დანართით;
- გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- შინაგანაწესით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს. კოლეჯის მიერ ახალდამატებულ ფართში განთავსებულია ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის ორი ოთახი, ასევე ერთი კომპიუტერული ლაბორატორია და სასწავლო კაბინეტები, რომლებიც აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერების რაოდენობით. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა უზრუნველყოფს დაწესებულების ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესების შეუფერხებელ წარმართვას.

ხელმისაწვდომია როგორც უკაბელო, ასევე კაბელიანი ინტერნეტი, რაც დასტურდება ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულებით და ვიზიტის დროს ადგილზე გადამოწმებით.

2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას. დირექტორის 2022 წლის 7 თებერვალის N67 ბრძანებით დამტკიცებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესი. ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვა ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის განუყოფელ ნაწილი და უწყვეტი პროცესია. აღნიშნული წესით განსაზღვრულია, რომ კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის, ადგილობრივი ქსელის, კომპიუტერული და პერიფერიული მოწყობილობების გამართულად მუშაობას, აუცილებელი პროგრამული უზრუნველყოფის შეფასებას, რეგულარული პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებას და საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას უზრუნველყოფს კოლეჯის კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების მენეჯერი. იგივე ფუნქცია-მოვალეობები კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების მენეჯერს გაწერილი აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ სტრუქტურული ერთეულების დებულებითაც.

კოლეჯი ახორციელებს IT რისკების მართვას არა მარტო ანტივირუსის მეშვეობით, არამედ იყენებს ინფორმაციის შენახვის სხვადასხვა შესაძლებლობებს. IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის, ადგილობრივი ქსელის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

კომპიუტერული და პერიფერიული მოწყობილობების გამართულად მუშაობის, პროგრამული უზრუნველყოფის გეგმიური შემოწმება ხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ ორჯერ.
რისკების შეფასების შემდეგ, ხდება დაწესებულების შესაბამისი პერსონალის ინფორმირება, საჭიროების შემთხვევაში ტარდება ინსრუქტაჟი არსებულ საკითხთან დაკავშირებით. პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარება ხორციელდება საჭიროებიდან გამომდინარე, დაზიანებისა თუ ხარვეზის შემთხვევაში. ასევე, საჭიროების შემთხვევაში ხდება პერსონალის გადამზადება.
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას. დირექტორის 2019 წლის 25 ნოემბრის N86 ბრძანებით, რომელშიც ბოლო ცვლილება შესულია 2022 წლის 2 თებერვლის N38 ბრძანებით, დამტკიცებულია პერსონალური მონაცემების დაცვის წესი. კოლეჯი პასუხისმგებელია დაიცვას პირის პერსონალური მონაცემები შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან. კოლეჯის პერსონალი, აგრეთვე პრაქტიკის ობიექტები და სხვა დაწესებულებები, რომლებთანაც კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები/მემორანდუმები ვალდებულნი არიან დაიცვან იმ პერსონალურ მონაცემთა საიდუმლოება, რომლებიც მათთვის ცნობილი გახდა შესაბამისი სამუშაოს/მომსახურების შესრულებისას. ამასთანავე, მათ ეკისრებათ ვალდებულება დაიცვან ხსენებულ მონაცემთა საიდუმლოება მათი უფლებამოსილების დასრულების შემდგომაც. პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით ასევე განსაზღვრულია, რომ პროფესიული სტუდენტი ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს თავისუფალ ნებასა და თანხმობას, რათა შპს საზოგადოებრივ კოლეჯს პანაცეას საჭიროებისამებრ მიაწოდოს თავისი პერსონალური მონაცემები/ინფორმაცია გამოსაყენებლად და დასამუშავებლად.
პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე კოლეჯში პასუხისმგებელია: იურისტი, კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების მენეჯერი, რეესტრის წარმოების მენეჯერი.
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას. დირექტორის 2022 წლის 7 თებერვალის N67 ბრძანებით დამტკიცებული ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესით განსაზღვრულია, რომ საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების ეფექტიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების მენეჯერი სასწავლო პროცესის განმავლობაში მინიმუმ ორჯერ შემოწმების და რისკების შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაციას გადასცემს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება ხარვეზების და თანმდევი უარყოფითი შედეგების მიზეზების განსაზღვრა, გაუმჯობესების საჭიროებების იდენტიფიცირება და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა, რომელიც შესაძლოა ითვალისწინებდეს აღდგენისთვის საჭირო ხარჯებს, პერსონალის გადამზადებას და სხვა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების მენეჯერის შუალედური ანგარიში, რომლითაც ირკვევა, რომ კოლეჯის ორივე სასწავლო კორპუსის ადმინისტრაციული პერსონალის და პროფესიული განათლების მასწავლებლების განკარგულებაში არსებული კომპიუტერები, საბეჭდი მოწყობილობები, ასლგადამღებები, პროექტორები და სკანერები არის ტექნიკურად და პროგრამულად გამართულ მდგომარეობაში და სრულად შეესაბამება სამუშაო მოთხოვნებს. ანგარიშში ასევე გაწერილია ის აღჭურვილობები, რომლებიც სასურველია კოლეჯმა შეიძინოს.

დაწესებულების მიერ 2022 წლის მარტი-მაისის პერიოდში ჩატარდა ადმინისტრაციის, პროგრამის ხელმძღვანელების, პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა. კითხვარებით ინფორმაციული ტექნოლოგიების გაუმართაობაზე, ხარვეზებზე, მართვის სირთულეებზე არაფერი გამოკვეთილა.

5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება. შინაგანაწესის 37-ე მუხლით გაწერილია, რომ პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს, პერსონალს გარდა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშულებებით სარგებლობის უფლება აქვს კოლეჯის დირექტორის ან მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერის თანხმობის შემთხვევაში, რისთვისაც პროფესიულმა სტუდენტმა/მსმენელმა, პერსონალმა ან საინიციატივო ჯგუფმა განცხადებით უნდა მიმართოს დირექტორს. პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე, პერსონალზე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობაზე თანხმობა გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ხელს არ უშლის სასწავლო ან/და მუშაობის პროცესს და გამოყენების მიზნობრიობიდან გამომდინარე, არ იწვევს მათ შესაძლო დაზიანებას ან არამინიზნობრივ გამოყენებას. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი, პერსონალი მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერისაგან იბარებს მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებს და პირადად ხდება პასუხისმგებელი მის დაცულობაზე.

ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ კოლეჯის გარემო, აუდიტორიები და ადმინისტრაციისთვის გამოყოფილი ოთახები აღჭურვილია შესაბამისი ტექნოლოგიით.

დაწესებულების მიერ 2022 წლის მარტი-მაისის პერიოდში ჩატარებული გამოკითხვებით (ადმინისტრაცია, პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროფესიული სტუდენტები) ყურადღება გამახვილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინფორმაციულ ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობაზე. კვლევის ანგარიშში გამოკითხული პროფესიული სტუდენტები და თანამშრომლები ადასტურებენ ინფორმაციული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას.

6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით. კერძოდ, ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებით დგინდება, რომ პროფესიულ სტუდენტებთან კომუნიკაცია ხორციელდება ელ. ფოსტით და სოციალური ქსელის დახურული ჯგუფებით, ხოლო პერსონალის ინფორმირების ერთიან ელექტრონულ საკომუნიკაციო მექანიზმს წარმოადგენს დახურული ჯგუფები და ელ. ფოსტები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით;
- ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულებით;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესით;
- სტრუქტურული ერთეულების დებულებით;
- პერსონალური მონაცემების დაცვის წესით;
- იჯარის ხელშეკრულებების დანართებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- გამოკითხვის შედეგებით;
- შუალედური ანგარიშით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- ინტერვიუირებით;
- შინაგანაწესით.

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს შემუშავებული და დირექტორის 2020 წლის 9 ოქტომბრის N43 ბრძანებით (ბოლო ცვლილება შესულია დირექტორის 2022 წლის 2 თებერვლის N38 ბრძანებით) დამტკიცებული აქვს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას საქმისწარმოების წესი. რეგულაციით გაწერილია, რომ მის ძირითად მიზანს კოლეჯში დოკუმენტბრუნვის მოწესრიგება, დოკუმენტების შედგენის, გაფორმების, აღრიცხვისა და რეგისტრაციის ხარისხის სრულყოფა და კოორდინაცია წარმოადგენს. იგი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: მიზნები და ამოცანები, დოკუმენტბრუნვის ორგანიზაცია, ელექტრონული დოკუმენტბრუნვა, მატერიალურად შემოსული დოკუმენტაციის მიღება და დამუშავება, ხარვეზის დადგენა და შემოსული დოკუმენტაციის გადაცემა, რეზოლუციის დადება, დოკუმენტის შექმნა, ბრძანებების მომზადება და გაფორმება, წერილის გაფორმება, ოქმი, განცხადება, მოხსენებითი ბარათი, ცნობა, კოლეჯის ბლანკის და დირექტორის ხელმოწერის ფაქსიმილიეს გამოყენების წესი, კორესპონდენციის აღრიცხვა, დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი, მატერიალური დოკუმენტის ასლების დამზადება, დოკუმენტის შენახვა, საქმეთა ფორმირება და კოლეჯის არქივში გადასაცემად მომზადება, კვალიფიკაციის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომების აღრიცხვა-ანგარიშგება/გაცემა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

კოლეჯი ჩართულია დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში - „eFlow”. „eFlow”-ს სისტემის მეშვეობით ხდება დოკუმენტის მიღება და კოლეჯის დოკუმენტების სხვა უწყებაში გაგზავნა. საქმისწარმოების წესით ასევე განსაზღვრულია, რომ დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში იქმნება სხვადასხვა ტიპის ელექტრონული დოკუმენტი: წერილი, ბრძანება, ბრძანების პროექტი. შექმნილი დოკუმენტი შეიძლება გაიგზავნოს როგორც საკუთარი უწყების შიგნით, ასევე სხვა უწყებაში. მატერიალური ფორმით იქმნება: განცხადება; ცნობა; ოქმი; ახსნა-განმარტებითი ბარათი; მოხსენებითი ბარათი; ხელშეკრულება.

2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. პროფესიულ სტუდენტებთან თუ სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციისთვის კოლეჯი იყენებს სოციალური ქსელებს, Google-ის პლატფორმას, ელექტრონულ ფოსტას, საკუთარ ვებგვერდს. Google-ს სერვისები გამოყენებულია საქმიანობის სხვადასხვა პროცესებისთვის და ასევე კვლევების ჩასატარებლად, სასწავლო პროცესში, მეცადინეობებისთვის გამოყენებულია Zoom პლატფორმა. კოლეჯი ასევე ჩართულია საქმისწარმოების/დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში - eFlow, რომლის გამოყენების ფარგლები გაწერილია შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით.

3. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, შემოწმდა რამდენიმე პროფესიული სტუდენტის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით გამოცემული ბრძანებების პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახვა, რომლითაც დასტურდება რეესტრის წარმოების მენეჯერის მიერ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანა.

4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. კოლეჯი საქმისწარმოების წესით დადგენილი ვადების შესაბამისად საქმიანობს, რომელზე კონტროლი ეკისრება საქმისმწარმოებელს. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, შეფასდა საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელი უწყებებიდან შემოსული კორესპოდენცია, რომელზე პასუხი გაცემულია მიღებული კორესპოდენციით განსაზღვრულ ვადებში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემით;
- სტრუქტურული ერთეულების დებულებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- საქმისწარმოების წესით;
- ინტერვიუირებით;
- Eflow-თი.

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას.

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი https://panacea.edu.ge/ და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მათზე განთავსებულია დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაცია, ასევე ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობისა და მის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ. ვებგვერდი იძლევა მარტივი ნავიგაციის შესაძლებობას. ამისთვის ინფორმაცია განთავსებულია ლოგიკურად დაჯგუფებულ და დასათაურებულ რუბრიკებში.

ვებგვერდზე განთავსებულია დაწესებულების სტრუქტურა, დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიის დოკუმენტი, ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულების შესახებ, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი აქტები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, ანგარიშები და სხვა. ასევე, ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია პროფესიული სტუდენტებისთვის, მათ შორის სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერი სერვისების შესახებ.

კოლეჯის ვებ-გვერდის, სოციალური ქსელების ტექნიკურ გამართულობასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელია კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების მენეჯერი, ხოლო სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირები არიან საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომლები. ბოლო სიახლე თარიღდება 14 სექტემბრით.

დაინტერესებული პირები, კოლეჯში მიმდინარე ნებისმიერი საინტერესო აქტივობის, პროექტის, მიღების გამოცხადების, ცვლილებების, სიახლეების შესახებ, ინფორმაციას ასევე იღებენ კოლეჯის სოციალური ქსელის საშუალებით.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია 2020 წელს გაფორმებული ვებ-ჰოსტინგის ხელშეკრულება ავტომატურად თითო წლის ვადით გაგრძელების პირობით. ასევე, დომენი მოქმედია მიმდინარე წლის 26 ნოემბრამდე.

2. კოლეჯის მისიით და სტრატეგიული მიზნებით განსაზღვრულია გაცვლითი პროგრამების, ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების განხორციელება, რომლებიც წარმოადგენს კოლეჯის სტრატეგიულ ამოცანებს. ამ მიზნიდან გამომდინარე, დაწესებულებას შექმნილი აქვს ინგლისურენოვანი ვებ-გვერდი. ინგლისურ ენაზე წარმოდგენილია კოლეჯის ისტორია, მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სიახლეები, მიმდინარე პროგრამები/პროექტები. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ მიმდინარეობს გვერდის სრულყოფა და მეტი ინფორმაციის განთავსება. კერძოდ, სტრუქტურული ერთეულების დებულებით გაწერილია, რომ პარტნიორებთან ურთიერთობის მენეჯერი (საერთაშორისო მიმართულებით) უზრუნველყოფს კოლეჯის უცხოენოვან ვებგვერდის მართვას და განვითარებას, ინფორმაციის ატვირთვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. სტრუქტურული ერთეულების დებულებით განსაზღვრულია, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური არის კოლეჯის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებულობას კოლეჯში მიმდინარე და დაგეგმილი მნიშვნელოვანი ღონისძიებების, პროგრამებისა და პროექტების შესახებ, აგრეთვე ახორციელებს პროფესიული სტუდენტების/მსმენელების კოლეჯის საგანმანთლებლო სივრცეში სრულფასოვანი ადაპტაციის და ინტეგრაციის ხელშეწყობას, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა პიროვნული, პროფესიული და კარიერული განვითარების მხარდაჭერას. ზრუნავს კოლეჯის პოპულარიზაციაზე.
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური შედგება: საზოგადოებასთან ურთიერთობის სამასახურის ხელმძღვანელისაგან, პარტნიორებთან ურთიერთობის მენეჯერისაგან (საერთაშორისო მიმართულებით), საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტისაგან.
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ს საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. კატალოგში მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების ისტორიის, ღირებულებების, პროგრამების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტების შესახებ. დაწესებულებას კატალოგში ასახული აქვს მხოლოდ ის პროგრამები, რომლებზეც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით მიღებული აქვს განხორციელების უფლება. კატალოგში ასევე ასახულია ინფორმაცია პარტნიორი ორგანიზაციების, სხვადასხვა პროექტებში ჩართულობის შესახებ.
5. კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა - კატალოგი ასრულებს საინფორმაციო ფუნქციას და ახლდება ყოველი ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების, პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების შეტანისას თუ მოდიფიცირების შემთხვევაში. ის ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და განთავსებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე. ასევე, ვებგვერდზე განთავსებულია წლების მიხედვით კატალოგების არქივი.
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. კერძოდ, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომლები ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებისთვის აქტიურად იყენებენ სოციალური ქსელის გვერდიდან, კითხვარებიდან და სხვა არხებიდან შემოსულ ინფორმაციას. პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აპლიკანტების და სხვა დაინტერესებული პირების უკუკავშირი, მათგან მიღებული ინფორმაცია გამოიყენება პროცესების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სტრუქტურული ერთეულების დებულებით;
- გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- სოციალური ქსელით;
- ინტერვიუირებით;
- ვებგვერდით;
- კატალოგით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი
დანართი 2. იჯარის და ქირავნობის ხელშეკრულებების შეთანხმებები
დანართი 3. ვიზიტისას გადაღებული სურათები

10.10.2022
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---